



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ბრძანება

ქ. თბილისი

N 2174-02
 05/09/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების“ საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 ივნისის №19 და 2016 წლის 1 სექტემბრის N22 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2016 წლის 5 სექტემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და არქეოლოგიის მიმართულებით ასისტენტ - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას მაია ჩარკვიანი.**
2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.
3. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი